კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ქალაქის გაფორმებითი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
02 03 15			268,7	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		საახალწლოდ ქალაქის ქუჩები გაფორმდება სხვადასხვა დეკორაციებითა და განათებებით, დაიდგმება საახალწლო ნაძვის ხე		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლოდ გაფორმებითი ღონისძიები: ნაძვის ხის მორთვა და საახალწლო აქსესუარებით ქუჩების/ სკვერების გაფორმება		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
02 06			47,2	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებაა. პროგრამის მთავარი დანიშნულება, გარდა სოფლის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა, არის სოფლების დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის უნარების განვითარება. ეს გულისხმობს დასაფინანსებელ პრიორიტეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას ადგილზე - სოფლის მოსახლეობის მიერ, სოფლის კრებებზე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში პრიორიტეტულ მიმართულებებად რჩება სოფლის ინფრასტრუქტურული საჭიროებები (გზები), რეაბილიტირებული სასოფლო გზები		

მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 959,6 **ათასი** ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება		2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5,040,733
03 01	მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	4,031,131
03 01 01	დასუფთავების ღონისძიებები	64,000
03 01 02	ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	3,493,581
03 01 04	სანაპიროსთვის დეკორატიული ურნები	34,800
03 01 05	სანაგვე კონტეინერების შეძენა (105 ერთეული)	78,750
03 01 06	ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა	360,000
03 02	გარემოს დაცვა	1,009,602
03 02 01	ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება	613,470
03 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	396,132

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01			4 0314,1	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური და (ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება		

პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მთელი წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ ქობულეთის სანდასუფთავება მუნიციპალურ ტერიტორიის, 20 სოფლის დაგვა დასუფთავებას ასვე მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანას ჯამში სანდასუფთავების სამსახური ემსახურება 98090, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოქალაქეს, ამ საქმიანობას მსახურება 219 ადმინისტრაცია. ასევე, მუნიციპალიტეტი შეიძენს სანაპიროსთვის დეკორატიულ სანაგვე ურნებს, სანაგვე კონტეინერების შეძენა; ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს -- ნაგავმზიდი მანქანა. დასუფთავების ღონისძიებები; ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება; სანაპიროსთვის დეკორატიული ურნები; სანაგვე კონტეინერების შეძენა (105 ერთეული); ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01 01			64,0	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დასუფთავების ღონისძიებები (მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუვნებელყოფა)დაგეგმილია მაწანწალა ცხოველების (ძაღლების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: დაჭერა და ტრანსპორტირება; ევთანაზია (ჰუმანური დაძინება ნარკოზით); სტერილიზაცია; კასტრაცია; ვაქცინაცია და დაბირკვა. ასევე დაგეგმილია ქუჩის ძაღლებისთვის საცხოვრებელი სახლების მოწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;		

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01 02			3 493,6	

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მთელი წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ ქობულეთის სანდასუფთავება მუნიციპალურ ტერიტორიის, 20 სოფლის დაგვა დასუფთავებას ასვე მუნიციპალიტეტის მთელი მთელი ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანას ჯამში სანდასუფთავების სამსახური ემსახურება 98090, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მოქალაქეს, ამ საქმიანობას მსახურება 220 ადმინისტრაცია.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა;

კოდი	პროგრამის დასახელება		2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01 04		სანაპიროსთვის დეკორატიული ურნები	34,8	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკებისაგან, ნარჩენების გატანას. განხორციელდება სანაპიროსთვის დეკორატიული ურნები შეძენა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება		

კოდი	პროგრამის დასახელება		2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01 05		სანაგვე კონტეინერების შეძენა (105 ერთეული)	78,8	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკებისაგან, ნარჩენების გატანას. სანაგვე კონტეინერების შეძენა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება		

კოდი	პროგრამის დასახელება		2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 01 06		ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის შეძენა	360,0	

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკებისაგან, ნარჩენების გატანას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადასატანად შეძენილი იქნება ნაგავმზიდი
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება		2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
03 02 01		გარემოს დაცვა (ა)იპ ქობულეთის გამწვანება	613,5	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		(ა)იპ ქობულეთის გამწვანება		
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწებისა) დარეგისტრირება პრიორიტეტულად მიგვაჩნია, რადგან იგი საშუალებას მოგვცემს შემდგომში მართული იქნას პრივატიზაციის პროცესები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტოშემოსავლებს. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე ტურისტული და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, ქალაქის, დაბებისა და სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობის ზრდას და ნაწილობრივ გადაჭრის დასაქმების პრობლემას. პროგრამის ფარგლებში ასაევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.		

ქვეპროგრამისდასახელება	კოდი	გარემოს დაცვა ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	03 02 02		396,1	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქობულეთის პარკი
ქვეპროგრამის აღწერა	**მცენარეების მოვლა პატრონობა:** ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის და მიწის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბელვა, ხე-მცენარეების შეხვევა გახსნა სეზონურად, მწვანე ნარგავების მორწყვა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების შეღებვა ჩაუმქრალი კირით, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატი **მწვანე ზოლის მოვლა-პატრონობა:** გაცელვითი სამუშაოები 66739 კვ.მ. დაფოცხვა გაწმენდა. არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა,შენახვა პატრონობა (მიმდინარე სარემონტო სამუშაოები): განათების სისტემის მიმდინარე შეკეთება, დაზიანებული ნათურების შეცვლა, სავალი ბილიკების და ბორდიურების შეკეთება გამოცვლა. შადრევნების (სულ 5 ერთეული) მოვლა-პატრონობა, ღობეების, სკამების, განათების ბოძების, სანაგვე ურნების, ატრაქციონების, ტრენაჟორების , შენობა-ნაგებობების და ა.შ. მიმდინა-რე რემონტი, აღდგენა/შეღებვა. **ტერიტორიების დალაგება-დასუფთავება:** სავალი ტერიტორიის (სულ 17891 კვ.მ.) დახვეტა, დალაგება, ნაგვის ურნების დაცლა. საპირფარეშოების დალაგება (სულ 8 ერთეული). ქობულეთის პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობა, განაშენიანება
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქობულეთის პარკებისა და სკვერების მოვლა პატრონობა, განაშენიანება

მუხლი 16. განათლების ხელშეწყობა

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **11 751.3 ათასი** ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ლარი

დასახელება		2022 წლის გეგმა
04. 00	განათლების ხელშეწყობა	11,715,425
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	11,715,425
04 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	5,672,000
04 01 02	საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	6,043,425

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
04 01			11 715.4	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 3030 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 529 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცა. "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების “ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა. **-ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება** **საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა**		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 3300-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	

04 01 01			**5 672,0**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა	„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 3030 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 529 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცა. "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების “ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 3330-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს			

კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
04 01 02			**6 043,4**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა	**პროექტის ფარგლებში დაგეგმილია** **ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებლობა** (აშენდება 2 სართულიანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი (7 ჯგუფზე გათვლილი), ასევე პროექტის ფარგლებში მოპირკეთდება ბაღის ეზო, მოეწყობა სათამაშო მოედანი და განთავსდეგაბა საბავშვო ატრაქციონები. პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები დაიწყო 2021 წელს. **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში საბავშვო ბაღის მოწყობა.** პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები დაიწყო 2021 წელს. **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა.** პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები დაიწყო 2021 წელს.			

	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობა. პროექტი არის გარდამავალი, სამუშაოები დაიწყო 2021 წელს. **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა, (**გარდამავალი პროექტია 2021-2022 წწ. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი თანამედროვე სტანდატების შესაბამისი (3 ჯგუფიანი) ბაღი: აშენდება ახალი შენობა, კეთილმოეწყობა ბაღის ეზო.) **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა. (**გარდამავალი პროექტი 2021-2022 წწ. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი თანამედროვე სტანდატების შესაბამისი (3 ჯგუფიანი) ბაღი: აშენდება ახალი შენობა, კეთილმოეწყობა ბაღის ეზო.)
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ბაღების კეთილმოწყობა, აშენებულია ახალი საბავშვო ბაღები; მოწესრიგებულია საბავშვო ბაღის ეზოები

მუხლი 17. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3 426,8 ათასი** ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ლარი

დასახელება		2022 წლის გეგმა
05. 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**3,449,741**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**623,590**
05 01 01	**ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა**	**367,565**
05 01 02	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**	**48,500**
05 01 03	**სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა**	**149,056**
05 01 04	**სპორტული მოედნების მოწყობა**	**58,469**
05 02	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**2,826,151**
05 02 01	**ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"**	**535,880**
05 02 02	**ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი**	**676,135**

05 02 03	ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება (5 პროექტი)	15,000
05 02 04	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	325,050
05 02 05	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	418,630
05 02 06	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	85,260
05 02 07	ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი	223,604
05 02 08	„დავით ხახუტაიშვილისა და ნინო აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის”	126,000
05 02 09	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია	420,592

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	05 01 01		367,6	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ბავშვთა და მოზართდა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება. ქვეპროგრამის და მიზანი სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; - მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. -გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. პერსპექტიული მოსწავლე სპორტსმენების შერჩევა, სასპორტო სკოლის და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და სპორტსმენთა მიერ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში

	05 01 02	**დაფინანსება**	**48,5**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა ემსახურება სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოვებას. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთა ობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. ქობულეთელი სპორტსმენების/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1. მხიარული თამაშები ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა, 2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში უბნებს შორის. 4. "ევროპის სპორტის კვირეული"-ს ფარგლებში სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზება. 5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში გოგონათა გუნდებს შორის. 6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. 7. **1)** ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა. 7. **2)** გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; - მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. -გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. პერსპექტიული მოსწავლე სპორტსმენების შერჩევა, სასპორტო სკოლის და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და სპორტსმენთა მიერ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა. სპორტისადმი გაზრდილი ინტერესი ახალგაზრდებში და საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხადასხვა სახეობებში			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი **05 01 03**	**სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში** **149,1**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა. პროგრამებისმიზანია: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული მეტი სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მასში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. რაგბის სპორტული კლუბი საქართველოს ეროვნული სარაგბო ჩემპიონატისა და გათამაშებებში, ბ. ლიგის, დასავლეთ საქართველოს და საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეობისას შეეცდება დაიკავოს საპრიზო ადგილები, ვინაიდან მისი ამოცანაა, შექმნას ბრძოლისუნარიანი გუნდი და წარმატებით ასპარეზობების შედეგად, სამომავლოდ დამკვიდრდეს უმაღლეს ლიგაში. გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გავლენას მოახდენს გუნდების შემდგომ გაძლიერებასა და წარმატებით ასპარეზობაზე. სარაგბო გუნდი წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ეტაპობრივად გამოიყენებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს: შრომითი ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებსა და გათამაშებებში მონაწილეობის შენატანის, გუნდების საწვრთნელი შეკრებების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, მივლინების, ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების, სამედიცინოხარჯების, ინვენტარისა და უნიფორმების,			

	არაფინანსური აქტივის, აგრეთვე სხვა დანარჩენი საქონელის შეძენისათვის. **სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა**
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; - მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. - გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. რაგბის სახეობის განვითარება. რაგბის სპორტული კლუბ "პონტოს" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებსა და გათამაშებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ბრძოლის უნარიანი გუნდის შექმნისა და წარმატებით ასპარეზობების სტიმული. **მოსალოდნელი შედეგი:** წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა. სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტი განვითარება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული მოედნების მოწყობა**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 01 04		**58,5**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრქუტურის სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუცუბანში, თეთროსნის დასახლებაში სტადიონის მოწყობა; - ქ. ქობულეთში ცენტრალურ პარკში სტადიონის მოწყობა და ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია; - ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში სპორტული მოედნის მოწყობა; - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში (ცხრაფონა) მინი სტადიონის მოწყობა; ქ. ქობულეთში ,,მტს"-ის დასახლებაში მინი სტადიონის მოწყობა.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	**მოსალოდნელი შედეგი:** მოწესრიგებული სპორტული ინფრასტრუქტურა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო**	**2022 წლის დაფინანსება ათასლარში**	

	05 02 01	**საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"**	**535,9**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"**			
ქვეპროგრამის აღწერა	კლასიკური და საესტრადო მუსიკის სწავლება; კლასიკური და თანამედროვე საესტრადო მუსიკის კომპოზიტორთა და მხატვართა შემოქმედების გაცნობა; სხვსდასხვა ხალხურ და საესტრადი ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნების დაუფლება; ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბება განათლებულ მსმენელად; სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კლასიკური და ხალხური მუსიკის ფესტივალებსა და კონკურსებში. სარაიონო ღონისძიებებში. მუსიკალური და სამხატვრო განათლების მიცემა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის შესაბამისი პირობების შექმნა: განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; კლასიკური მუსიკის, სიმღერის , და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს მთელ ტერიტიორიაზე. **მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო და სამხატვრო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 02 02		**676,1**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი**			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის კულტურის ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ქალაქის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობას, სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონსძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზებას - ლიტერატურული საღამოები,ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები,ღირშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები, ბიბლიოთეკის კვირეული,საიუბილეო საღამოები,ფოლკლორის საღამოები,საშობაო საახალწლო შეხვედრები ,ასევე კულტური ცენტრი განახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდების უზრუნველყოფას, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვებას, აღრიცხვა დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად,მათი დაცვის უზრუნველყოფას, საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას და სრულყოფას, საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით,კატალოგებით, კარტოთეკქებით, კულტურულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების,გამოფენების მოწყობა,საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფას,საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფა, ანსამბლებისა და კლუბების ფუნქციონირება. სხვადასხვა ღონისზიების ჩატარდება კერძოდ: კერძოდ: 1. ფოლკლორული ანსამბლების დათვალიერება, 2. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა - 9 აპრილი,, 26 მაისი, 5. ჩაქვისთავობა - ფოლკლორის ფესტივალი,6. ხინოწმინდობა - წინაპრების სულიერი ბალავარი, 7. პროექტი ამაგდარნი - შეხვედრა ღვაწლმოსილ პიროვნებებთან			

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება (5 პროექტი):	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	05 02 03		15,0	
ქვეპროგრამისგანმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება (5 პროექტი):** პროგრამა განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 14 დან 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (შემდგომში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ინიციატივით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების პირობებსა და წესებს. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების წარმოჩენას, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერებას. ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები. ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. მნიშვნელოვანია ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ახალგაზრდებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავონ პროექტები, რომლებიც ემსახურება მათი თანატოლების საჭიროებების დაკმაყოფილებას. პროგრამა ხელს შეუწყოს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერებას. ახალგაზრდული პროექტების ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება) პროგრამა, ვრცელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებზე, 14 დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებზე. ახალგაზრდებს მრავალი ფორმით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ, პრაქტიკულ და რელევანტურ ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ; მუდმივად ხდებოდეს მონაწილეობის ახალი და ინოვაციური გზების მოძიება; ყურადღება არ იქნას გადატანილი მხოლოდ ახალგაზრდების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე, არამედ ფოკუსირება ხდებოდეს ისეთ გზებსა და საშუალებებზე, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობის უკეთესს ხარისხს უზრუნველყოფენ და საჭიროებების შემთხევავაში, ახალგაზრდები იღებდნენ ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა მხარდაჭერას.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მეტი ჩართულობა, მათი ინიციატივებისა და იდეების განხორციელება, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"	2022 წლის დაფინანსება ათასლარში	
	05 02 04		325, 1	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური და გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"			
ქვეპროგრამის აღწერა	ანსამბლში ღონისძიებებისა და კულტურული პროგრამების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება; ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურულ სფეროში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობა; კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობა; ღვაწმოსილ მუშაკთა საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების ჩატარება,წახალისების სხვადასხვა ფორმებზე წარდგენა შესაბამის ზემდგომ ორგანოებში. ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმა და რეპერტუარის განახლება.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ანსამბლი "მხედრული" ხელშეწყობის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის შესაბამისი პირობების შექმნა: განსაკუთრებული ცეკვის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს მთელ ტერიტიორიაზე. მოსალოდნელი შედეგი: წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	05 02 05		418,6	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	**კულტურული ღონისძიებების დაფინანსება** საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და მათი აკადემიური მოსწრების ზრდას, მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება გაზრდის მოტივაციას მომავალ თაობაში მედალოსნის სტატუსის მოპოვებისთვის და ხელს შეუწყობს სამომავლოდ მათი რიცხვის გაზრდას. გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკთხებზე საინფორმაციო ტრენინგ-სემინარები. გენდერის მიმართულებით აქტიური კამპანია და ტრენინგ-სემინარების გამართვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას. **კულტურული ღონისძიებები კერძოდ:** 1. ალილო, 2. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა (9 აპრილი, 26 მაისი), 3. საახალწლო დღეები ქობულეთში, შობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება. 4. გურამ თამაზაშვილის სახელობის ქართული ხალხური და ქართველი კომპოზიტორების კონკურს-ფესტივალი, 5. მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება, 6. პროექტში „ეტალონი“ მონაწილეობის მიღება, 7. პედაგოგის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-მასწავლებელთა კონფერენცია. 8. ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი, 9. პროექტში ,,ეტალონი" გამარჯვებული მოსწავლეზე საჩუქრის გადაცემა, 10. 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე, 11. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები - საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევი ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე. (საინფორმაციო ფლაერების დაბეჭდვა და კონკურსების გამართვა). 12. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების			

	ჩატარება - ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცის მიწოდება. 13. ახალგაზრდა მოხალისე, 14. შშმ პირების უფლებათა დაცვის დღე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა;საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 02 06		**85,3**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** 1) ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადება (სარეკლამო ბეჭდური მასალები, სუვენირები, სასაჩუქრე ჩანთები). 2. ინფო ტური ბლოგერებისთვის, ფოტოგრაფებისთვის და ჟურნალისტებისთვის (უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მოწვევა, ტრანსფერით, დაბინავებით და კვებით უზრუნველყოფა, ქობულეთის ირგვლივ ტურის ორგანიზება , ღირსშესანიშნავი ადგილების და ტურისტული ობიექტების დათვალიერება, კულინარიული მასტერკლასის ორგანიზება). 3. ფესტივალი სოფლად " მზე სოფელში ანათებს" ღონისძიებისთვის ტერიტორიის მოწყობა, მონაწილეთა და საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება, სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა,ქართული სამზარეულოს კუთხის მოწყობა , და კულინარიული მასტერკლასის გამართვა, ბენდის მოწვევა, დაბინავება. განათებით, აპარატურით და ხმის რეჟისორით უზრუნველყოფა, წამყვანის მოწვევა , ტურის ორგანიზება,ღონისძიების დრონით და ვიდეოკამერით გადაღება, მონტაჟი. 4) ბრენდირება, სოციალური გვერდების სატელევიზიო სივრცეში ქობულეთის რეკლამირება, ვიდეო ფროდაქშენი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი ვიკიპედიაზე"-მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის განახლება, კორექტირება, 2 ენაზე თარგმნა ფოტომასალის და სხვა საჭირო რესურსების და ვიკიპედიაზე განთავსება.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა			

ქვეპროგრამისდასახელება	კოდი	**ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 02 07		**223,6**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური და ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი**			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლკებში ქობულეთის მუზეუმი განახორციელებს სხვადასხვა კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლისა და კვლევის მიზნით მუნიციპალიტეტის მკვიდრებისა და სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოვლა–პატრონობას, მუზეუმში დაცული სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვას, ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას. კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებული ღონისძიებების ფონზე მუნიციპალიტეტის სამუზეუმო ცხოვრების გამრავალფეროვნება, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**„დავით ხახუტაიშვილისა და ნინო აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის”**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 02 08		**126,0**	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური**			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**„დავით ხახუტაიშვილისა და ნინო აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის”** განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით ხახუტაიშვილისა და აკადემიკოსს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიის გაცემას. სტიპენდია ეძლევათ სტუდენტებს კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რომლებსაც მიღებული აქვთ სემესტრში საშუალო დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საგნების მოსწრების დოკუმენტის თანახმად. პროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, თანხა სემესტრში შეადგენს **400 ლარს**, საქართველოსკანონმდებლობით გათვალსიწინებული გადასახადების ჩათვლით. ხოლო სოციალურად დაუცველის (100 001 სოციალურ ქულამდე), ობოლის და მრავალშვილიანი ოჯახების (200 001 სოციალურქულამდე) და შშმ სტატუსის მქონე (სოციალური ქულის გარეშე) სტუდენტების სტიპენდია სემესტრში შეადგენს **800 ლარს.** 2. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა-100%. ერთ მოსწავლეზე გასაცემი ჯილდო არა უმეტეს 2000 ლარისა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. თუ რაოდენობა იქნება 8 მოსწავლეზე მეტი, საერთო თანხა გადანაწილდება არსებულ რაოდენობაზე. 3. უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა (5 სტუდენტი).			
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების წახალისება, აქტიური და ინიციატორი სტუდენტების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესი			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
	05 02 09		**420,6**	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ინფრასტრუქტურის სამსახური**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია**
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის განახლება.

მუხლი 18. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 551,2 **ათასი** ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათასი ლარი

დასახელება		2022 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,545,580
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	2,068,200
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	11,000
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	88,800
06 01 04	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	708,000
06 01 05	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	620,400
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	640,000
06 02	სოციალური დაცვის ღონისძიებები	1,477,380
06 02 02	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	14,660
06 02 03	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	8,000
06 02 05	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	655,800
06 02 07	მუნიციპალური უფასო სასადილო	223,900

06 02 10	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	15,000
06 02 11	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	85,000
06 02 12	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	42,500
06 02 13	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	50,000
06 02 14	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	40,000
06 02 15	დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	110,000
06 02 16	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა	232,520

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვა		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			2,068,2	
პროგრამის აღწერა	სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია. ქობულეთის მუნიციპალიტეტის (უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის შემცირება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამები და ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: - იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება; - თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის; - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება; - ა(ა)იპ ,,ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი"; - მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	**პროგრამის მიზანია:** ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. **მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, დაავადების სტაბილიზაცია, გამწვავებებისა და რეცივიდების თავიდან აცილება.			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			11,0	
პროგრამის აღწერა	ფენილკეტონურია წარმოადგენს თანდაყოლილ იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევებთან და იწვევს ც.ნ.ს.-ისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები, არ სარგებლობენ შეღავათებით. გლუტეინის ავადმყოფობა (ცელიაკია) ქრონიკულიდაავადებაა, რომელსაც იწვევს საკვებში შემავალი გლუტეინის პეპტიდები. ავადმყოფებს ესაჭიროებათ მუდმივი დიეტოთერაპია. **იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება** ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარზე 2000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკისფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით. გლუტეინის ავადმყოფობით, ცელიაკიით დაავადებულ 6ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	იშვიათი დაავადების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			88,8	
პროგრამის აღწერა	მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ.		

	წარმოდგენილი მიზნობრივი ქვეპროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მძიმე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა ჩართვა ფსიქიატრიულ სერვისებში, პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**		
06 01 04	**სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება**	**ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები**		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**	**ქვეპროგრამის ბიუჯეტი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
			708,0	
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით ასევე დაფინანსდება 2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებები, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული იურიდიული დოკუმენტით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ: 1) პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტიშვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - სოციალური ქულით შეზღუდვის გარეშე; 2) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები; **3)** სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარები;		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.			

ქვეპროგრამის კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**		
06 01 05	**ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“**	**ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები**		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური**	**ქვეპროგრამის**	**2022 წლის დაფინანსება**	

სამსახური	სერვისების ცენტრი“	ბიუჯეტი	ათას ლარში	
			620,4	
პროგრამის აღწერა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა 1. **პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა:**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა- კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა;ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით; 2. **ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება:** მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. 3. **მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა:** ა) ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს, რაც დასტურდება ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტი ფორმა - №IV- 100/ა). ბ) მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც ,,ტეტრაპარეზი"-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ ,,კვადრიპლეგია"(ოთხივე კიდურის დამბლა). გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			640,0	

პროგრამის აღწერა	საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა		
06 02	სოციალური დაცვის ღონისძიებები	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			1 477,4	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრაამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა პროგრამა; და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.			
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	**პროგრამის მიზანია:** გარკვეული კატეგორიის ბენეიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება **მოსალოდნელი შედეგი :** მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 02	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	სოციალური დაცვის ღონისძიებები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			14,7	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. ქვეპროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“. საქართველოს კანონის “სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 400 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა. გარდაცვლილი ომის ვეტერანის პატივის მიგება.			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 03	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			8,0	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (8 ბენეფიციარი) მატერიალურ დახმამარებას თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 05	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის	ჯამრთელობისა და სოციალური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება	

განმახორციელებელი სამსახური	დაცვის სამსახური		ათას ლარში 655,8	

ქვეპროგრამის აღწერა	**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარაებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. 2021 წლის შემოდგომაზე მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა დიდი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, მნიშვნელოვნად გაზარდა ქირის მიმღები ოჯახების რაოდენობა და საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. წინამდებარე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში (ბინის ქირის ასანაზრაურებლად) კომპენსაციის მიღების უფლება აქვს:** 1) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სხვა) და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას და არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი. 2) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი არ არის დანგრეული მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის , წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სხვა) საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ ქონებას, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას და არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი. 3) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში, არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას, საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე. 4) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით, მასში ცხოვრება შეუძლებელია და არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი. **ალტერნატული თავშესაფარად არ ჩაითვლება:** **1)** ალტერნატიული ქონება, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან საკურორტო ზონაში (გომისმთა, ბახმარო, ბეშუმი) და 2) ალტერნატიულ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც არის/იყო ქორწინების შედეგად შემატებული წევრის თანასაკუთრება ქორწინებამდე, არ წარმოადგენსხელისშემშლელ გარემოებას მოქალაქეებისთვის „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამით სარგებლობისას.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფა უსაფრთხო თავშესაფარით სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილია კომპენსაციით

შედეგი	

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 07	მუნიციპალური უფასო სასადილო	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			223,9	
ქვეპროგრამის აღწერა	მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს. ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 320 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ მენიუს შესაბამისად.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 320 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა კვირაში 7 დღეს, მათი მორალური მხარდაჭერა მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცული იქნან ყოველდღიური გაჭირვებისაგან.მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება.			

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 10	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			15,0	

ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი მეტად მწირია, დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი აირის შეყვანისათვის თანხის გაღება. ასევე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური მხარდაჭერაა 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანების ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახების, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანებისა და 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების - 75 ბენეფიციარის გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია 2021 წლის „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების“ ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარების გაზიფიცირების სამუშაოების დაფინანსება.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრებისა და 0-დან 200 000 ქულამდე ომის ვეტერანებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 11	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			85,0	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამაითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი. ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნება დახმარების გაწევა იმ ოჯახებზე, სადაც 2021წლის დეკემბრის თვეში დაიბადა მე-3, მე-4 და მომდევნო შვილი და ასევე, იმ ოჯახებზე, რომლებმაც 2021წლის დეკემბრის თვეში მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მე-3, მე-4 და მომდევნო შვილის დაბადების გამო და აკმაყოფილებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება მე-3, მე-4 მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით. მათთვის მორალური და მატერიალური მახარდაჭერა. სტიმულის მიცემა. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახები მესამე, მეოთხე, მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენისას უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.		

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა
06 02 12	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური	სოციალური დაცვის ღონისძიებები

	დახმარება			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			42,5	

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმამარებას თითოეულ ბავშვზე (სავარაუდოდ 30 ბენეფიციარი) თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარებისთვის.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება. მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა		
06 02 13	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	სოციალური დაცვის ღონისძიებები		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	
			50,0	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველპირთაგარდაცვალებისშემთხვევაში მათოჯახებზეერთჯერადიმატერიალური დახმარებისგაწევას. კერძოდ, 1. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდესარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის; 2. ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 001 -დან 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს. ქვეპროგრამაში ასევე, გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაკრძალვა ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას.			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა			

შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

ქვეპროგრამის კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**		
06 02 14	**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**	**სოციალური დაცვის ღონისძიებები**		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**	**ქვეპროგრამის ბიუჯეტი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
			40,0	
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (35 ოჯახზე) 1000 ლარის ოდენობით, ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნება ის ოჯახებიც, რომელთა შვილებსაც 2022 წელს შეუსრულდება 18 წელი. 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (60 ოჯახზე) 500 ლარის ოდენობით,		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება, მათთვის მორალური დამატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა.			

ქვეპროგრამის კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**		
06 02 15	**დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება**	**სოციალური დაცვის ღონისძიებები**		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**	**ქვეპროგრამის ბიუჯეტი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში**	
			110,0	
ქვეპროგრამის აღწერა	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტები არიან თირკმლის პათოლოგიის მქონე შ.შ. მ პირები, რომელთაც თვის განმავლობაში ესაჭიროებათ 12-13 პროცედურა და შესაბამისად ტრანსპორტირების ხარჯები, რისი საშუალებაც მათ არ გააჩნიათ. ასევე, „ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია" ქვეპროგრამის მოსარგებლეებია ბავშვთა ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე ბავშვები. ზემო აღნიშნული დაავადებების მქონე ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში უჭირთ ან არ შეუძლიათ დამოუკიდებლად		

	გადაადგილება, შესაბამისად ოჯახებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს რეაბილიტაციის ცენტრებში სეანსების ჩასატარებლად სიარული. წინამდებარე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული: 1. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 60 ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 120 ლარით (სულ 70 ბენეფიციარი); 2. ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 125 ბენეფიციარის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად მატერიალურ დახმარებას. ერთ ბენეფიციარზე გაიცემა 6 ლარი ერთ ვიზიტზე. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციარების კომპენსაციით უზრუნველყოფა.ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის კოდი	**ქვეპროგრამის დასახელება**	**პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა**		
06 02 16	**მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა**	**სოციალური დაცვის ღონისძიებები**		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ინფრასტრუქტურის სამსახური**	**ქვეპროგრამის ბიუჯეტი**	**2022 წლის დაფინანსება ათას ლარში** **232,5**	
ქვეპროგრამის აღწერა	სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით. სოციალური ასპექტების გათვალისწინებით პროგრამების ძირითადი განმახორციელებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის, ხშირ შემთხვევაში,შემოსავლის ერთადერთი წყარო სოციალური სუბსიდიაა, რომელიც მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს. რაც შეეხება სიძველისაგან ამორტიზირებული სახლების მოვლა-პატრონობასა და გამაგრებას, მათი შემოსავლები მეტად მწირია რომ ასეთი სამუშაოები ჩაატარონ. ზოგ შემთხვევაში ასეთი ამორტიზირებული სახლები ინგრევა და ოჯახი თავშესაფრის გარეშე რჩება. შესაძლებელია ვიღაცის სიცოცხლეც კი შეიწიროს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს უკიდურესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენას და მასში ცხოვრება მოსახლეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია, საცხოვრებელი პირობების მოგვარებაში, რათა ოჯახებს მიეცეს პრობლემის შემსუბუქების და სოციალური ფუნქციონირების ამაღლების პერსპექტივა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა „**მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა**“ქვეპროგრამა. ქვეპროგრამა ითვალისწინებსმოწყვლადი ოჯახებისათვის,რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანბაზაში 0-120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია,			

შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას, მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, (პირველ ეტაპზე სავარაუდოდ 4 სახლის) მუნიციპალიტეტის მერიის „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ მოწონებული პროექტით და გადაწყვეტილებით. ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელისახლის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში ოჯახები, რომელთა წევრების რაოდენობა არ აღემატება 5-ს, დაკმაყოფილდება 51,5 კვ.მ. ფართის, ხოლო 6 და მეტ წევრიანი ოჯახები 59,9 კვ. მ.ფართის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით.
ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაკმაყოფილდება სტიქიური მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი,ქვათაცვენა, მდინარეების ან ზღვის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, ჯდენადიგრუნტი და სხვა.) შედეგად დაზარალებული ოჯახები.

დახმარების მიღების წესი

საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება მოწყვლადი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა.

(ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროებებისპრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნითსოციალური კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ქულები აღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებიდან).

კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ოჯახების საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი მცირეფასიანი საცხოვრებელისახლის მშენებლობის პროექტში ჩართვისპროცესში.

მცირეფართიანი საცხოვრებელისახლის მშენებლობის პროექტში ჩართვის კრიტერიუმები

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
ა	სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა 65001-ქულაზე ნაკლები (ქულა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა ნახევარი ან მეტი ფიქსირდება ერთი და იგივე მისამართზე სოციალური სააგენტოს ბაზაში)	0.5
ბ	ოჯახში არის 3 და მეტი 18 წელზე დაბალი ასაკის ოჯახის წევრი. 3-ზე –2 ქულა, ყოველ დამატებითზე 1 ქულა	შესაბამის ქულათა ჯამი
გ	მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები. მუდმივად მწოლიარე (0,5 ქულა), ფსიქიკური ფუნქციისდარღვევა (0,5 ქულა), ონკოლოგიური დაავადება (0.5 ქულა) (უნდა არსებობდეს ცნობა ჯანმრთელობისმდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა. ონკოლოგიური დაავადებისშემთხვევაში ფორმა №50/2)	შესაბამის ქულათა ჯამი
დ	ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (1,5 ქულა), მნიშვნელოვნად (1 ქულა) ან ზომიერად(0,5 ქულა)გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები	შესაბამის ქულათა ჯამი
ე	მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე(დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობებიდა სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1
ვ	ხანდაზმულ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ანშვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად.(მეურვეობა/მზრუნველობის დამადასტურებელიდოკუმენტები და სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო და ოჯახი, რომელიც შედგება ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახიშედგება მხოლოდ ან ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისაგან	1
თ	ოჯახის შემადგენლობაში არის 7 და მეტისული	1

	შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთობლივად აკმაყოფილებს ამ დანართის „გ“ და „დ“ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს, მაშინ მას ქულა ენიჭება იმკრიტერიუმით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მაღალ ქულას. **ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩართვა განხორციელდება პრიორიტეტულობის ქულის შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭება მაღალ პრიორიტეტულობის ქულას.** **თანაბარი პრიორიტეტულობის ქულის არსებობის შემთხვევაში, ქვეპროგრამაში ჩართვის რიგითობა განისაზღვრება განაცხადის რეგისტრაციის თარიღის მიხედვით (უპირატესობა მიენიჭება უფრო ადრე დარეგისტრირებულ განაცხადს).** გადაწყვეტილებას ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, (შემდეგ- კომისია) რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. საცხოვრებელისახლებისმშენებლობისპროექტშიჩართვის მიზნით მოქალაქემ მუნიციპალიტეტისმერიაშიშესაბამისიადმინისტრაციულ იერთეულისწარმომადგენლისმომართვისშემდეგუნდაწარმოადგინოს: ა) ინდივიდუალური მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზეგანაცხადი; ბ) ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ; გ) განმცხადებლისდა მისი ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად, არასრულწლოვანი წევრების შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლები; დ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, შშმპ, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი და სხვა); ე) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრებაზე და სხვა უძრავი ქონების არარსებობის შესახებ; ვ) გეოლოგური დასკვნა; ზ) ადმინისტრაციულერთეულშიმერისწარმომადგენლისწერილი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	**მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები**

თავი III

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების, პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	**33,584,580**	**33,584,580**	**-**	**44,398,437**	**44,398,437**	**-**	**52,717,600**	**52,717,600**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	206	206	-	206	206	-	214	214	-
	ხარჯები	18,988,108	18,988,108	-	23,979,157	23,979,157	-	32,341,462	32,341,462	-
	შრომის ანაზღაურება	2,055,695	2,055,695	-	2,093,114	2,093,114	-	2,954,668	2,954,668	-
	საქონელი და მომსახურება	1,789,219	1,789,219	-	2,506,328	2,506,328	-	3,810,150	3,810,150	-
	პროცენტი	265,765	265,765	-	161,270	161,270	-	125,488	125,488	-
	სუბსიდიები	9,700,323	9,700,323	-	12,794,644	12,794,644	-	16,968,811	16,968,811	-
	გრანტები	3,917	3,917	-	2,229	2,229	-	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	758,377	758,377	-	1,677,457	1,677,457	-	2,042,814	2,042,814	-
	სხვა ხარჯები	4,414,812	4,414,812	-	4,744,115	4,744,115	-	6,439,531	6,439,531	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,611,831	12,611,831	-	18,495,139	18,495,139	-	19,045,396	19,045,396	-
	ვალდებულებების კლება	1,984,641	1,984,641	-	1,924,141	1,924,141	-	1,330,742	1,330,742	-
01. 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**5,601,554**	**5,601,554**	**-**	**5,389,061**	**5,389,061**	**-**	**6,776,639**	**6,776,639**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	206	206	-	206	206	-	214	214	-
	ხარჯები	3,584,693	3,584,693	-	3,460,583	3,460,583	-	5,254,697	5,254,697	-
	შრომის ანაზღაურება	2,055,695	2,055,695	-	2,093,114	2,093,114	-	2,954,668	2,954,668	-
	საქონელი და მომსახურება	716,756	716,756	-	1,055,528	1,055,528	-	1,516,199	1,516,199	-
	პროცენტი	265,765	265,765	-	161,270	161,270	-	125,488	125,488	-
	გრანტები	3,917	3,917	-	2,229	2,229	-	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	17,150	17,150	-	23,287	23,287	-	22,614	22,614	-
	სხვა ხარჯები	525,411	525,411	-	125,154	125,154	-	635,728	635,728	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	32,220	32,220	-	4,337	4,337	-	191,200	191,200	-
	ვალდებულებების კლება	1,984,641	1,984,641	-	1,924,141	1,924,141	-	1,330,742	1,330,742	-
01. 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა**	**3,344,359**	**3,344,359**	**-**	**3,276,544**	**3,276,544**	**-**	**4,819,705**	**4,819,705**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	206	206	-	206	206	-	214	214	-
	ხარჯები	3,312,139	3,312,139	-	3,272,207	3,272,207	-	4,628,505	4,628,505	-

	შრომის ანაზღაურება	2,055,695	2,055,695	-	2,093,114	2,093,114	-	2,954,668	2,954,668	-
	საქონელი და მომსახურება	709,966	709,966	-	1,031,028	1,031,028	-	1,511,199	1,511,199	-
	გრანტები	3,917	3,917	-	-	-	-	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	17,150	17,150	-	23,287	23,287	-	22,614	22,614	-
	სხვა ხარჯები	525,411	525,411	-	124,778	124,778	-	140,024	140,024	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	32,220	32,220	-	4,337	4,337	-	191,200	191,200	-
01 01 01	**მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**707,346**	**707,346**	**-**	**670,854**	**670,854**	**-**	**1,125,649**	**1,125,649**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	29	29		29	29		33	33	-
	ხარჯები	706,227	706,227	-	668,506	668,506	-	1,114,899	1,114,899	-
	შრომის ანაზღაურება	472,640	472,640		411,812	411,812		739,831	739,831	-
	საქონელი და მომსახურება	113,940	113,940	-	133,507	133,507	-	232,874	232,874	-
	სოციალური უზრუნველყოფა	-			-			4,770	4,770	-
	სხვა ხარჯები	119,647	119,647		123,187	123,187		137,424	137,424	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,119	1,119		2,348	2,348		10,750	10,750	-
01 01 02	**მუნიციპალიტეტის მერია**	**2,525,843**	**2,525,843**	**-**	**2,484,056**	**2,484,056**	**-**	**3,531,534**	**3,531,534**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	169	169	-	169	169	-	173	173	-
	ხარჯები	2,494,742	2,494,742	-	2,482,067	2,482,067	-	3,354,084	3,354,084	-
	შრომის ანაზღაურება	1,505,366	1,505,366	-	1,601,697	1,601,697	-	2,113,187	2,113,187	-
	საქონელი და მომსახურება	562,544	562,544	-	855,493	855,493	-	1,220,453	1,220,453	-
	გრანტები	3,917	3,917	-	-	-	-	-	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	17,150	17,150	-	23,287	23,287	-	17,844	17,844	-
	სხვა ხარჯები	405,764	405,764	-	1,590	1,590	-	2,600	2,600	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	31,101	31,101	-	1,989	1,989	-	177,450	177,450	-
01 01 03	**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**	**111,170**	**111,170**	**-**	**121,634**	**121,634**	**-**	**162,522**	**162,522**	**-**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	8	8		8	8		8	8	-
	ხარჯები	111,170	111,170	-	121,634	121,634	-	159,522	159,522	-
	შრომის ანაზღაურება	77,689	77,689		79,605	79,605		101,650	101,650	-
	საქონელი და მომსახურება	33,482	33,482	-	42,029	42,029	-	57,872	57,872	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			-			3,000	3,000	-
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**2,257,195**	**2,257,195**	**-**	**2,112,517**	**2,112,517**	**-**	**1,956,934**	**1,956,934**	**-**
	ხარჯები	272,555	272,555	-	188,376	188,376	-	626,192	626,192	-
	საქონელი და მომსახურება	6,790	6,790	-	24,500	24,500	-	5,000	5,000	-
	პროცენტი	265,765	265,765	-	161,270	161,270	-	125,488	125,488	-
	გრანტები	-	-	-	2,229	2,229	-	-	-	-

	სხვა ხარჯები	-	-	-	377	377	-	495,704	495,704	-
	ვალდებულებების კლება	1,984,641	1,984,641	-	1,924,141	1,924,141	-	1,330,742	1,330,742	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	-	-	-	-	-	486,400	486,400	-
	ხარჯები	-	-	-	-	-	-	486,400	486,400	-
	სხვა ხარჯები	-			-			486,400	486,400	-
01 02 02	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა	2,250,405	2,250,405	-	2,088,017	2,088,017	-	1,456,334	1,456,334	-
	ხარჯები	265,765	265,765	-	163,876	163,876	-	125,592	125,592	-
	პროცენტი	265,765	265,765	-	161,270	161,270	-	125,488	125,488	-
	გრანტები	-	-	-	2,229	2,229	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	-	-	-	377	377	-	104	104	-
	ვალდებულებების კლება	1,984,641	1,984,641	-	1,924,141	1,924,141	-	1,330,742	1,330,742	-
01 02 02 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი	1,454,045	1,454,045	-	1,442,127	1,442,127	-	1,248,820	1,248,820	-
	ხარჯები	73,882	73,882	-	40,412	40,412	-	37,549	37,549	-
	პროცენტი	73,882	73,882		40,412	40,412		37,549	37,549	-
	ვალდებულებების კლება	1,380,164	1,380,164		1,401,715	1,401,715		1,211,271	1,211,271	-
01 02 02 03	მეგობრობის ქუჩის სანიაღვრე- კანალიზაციის რეაბილიტაცია და სატუმბი სადგურის მშენებლობა	62,187	62,187	-	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	2,996	2,996	-	-	-	-	-	-	-
	პროცენტი	2,996	2,996		-			-	-	-
	ვალდებულებების კლება	59,191	59,191		-			-	-	-
01 02 02 04	მუნიციპალური ქვეპროექტი-დ. აღმაშენებლის რეაბილიტაცია (ქ. ქობულეთში პიკეტიდან 20+00 გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე)	522,204	522,204	-	435,524	435,524	-	-	-	-
	ხარჯები	78,812	78,812	-	23,301	23,301	-	-	-	-
	პროცენტი	78,812	78,812		23,014	23,014		-	-	-
	სხვა ხარჯები	-			287	287		-	-	-
	ვალდებულებების კლება	443,392	443,392		412,223	412,223		-	-	-
01 02 02 05	"საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, მუნიციპალიტეტისათვის 1 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის გადაცემა.	49,597	49,597	-	45,675	45,675	-	45,139	45,139	-
	ხარჯები	19,491	19,491	-	15,569	15,569	-	15,033	15,033	-
	პროცენტი	19,491	19,491		15,569	15,569		14,929	14,929	-
	სხვა ხარჯები	-			-			104	104	-
	ვალდებულებების კლება	30,106	30,106		30,106	30,106		30,106	30,106	-

01 02 02 06	ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ნაგებობის რეაბილიტაცია	162,372	162,372	-	162,461	162,461	-	162,375	162,375	-
	ხარჯები	90,584	90,584	-	82,364	82,364	-	73,010	73,010	-
	პროცენტი	90,584	90,584		82,275	82,275		73,010	73,010	-
	სხვა ხარჯები	-			89	89		-	-	-
	ვალდებულებების კლება	71,788	71,788		80,097	80,097		89,365	89,365	-
01 02 02 07	ქალაქ ქობულეთის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის ლამის გაუწყლოვნების სისტემის მოწოდება და მონტაჟი	-	-	-	2,229	2,229	-	-	-	-
	ხარჯები	-	-	-	2,229	2,229	-	-	-	-
	გრანტები	-			2,229	2,229		-	-	-
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	6,790	6,790	-	24,500	24,500	-	5,000	5,000	-
	ხარჯები	6,790	6,790	-	24,500	24,500	-	5,000	5,000	-
	საქონელი და მომსახურება	6,790	6,790	-	24,500	24,500	-	5,000	5,000	-
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	-	-	-	-	-	-	4,200	4,200	-
	ხარჯები	-	-	-	-	-	-	4,200	4,200	-
	სხვა ხარჯები	-			-			4,200	4,200	-
01 02 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	-	-	-	-	-	-	5,000	5,000	-
	ხარჯები	-	-	-	-	-	-	5,000	5,000	-
	სხვა ხარჯები	-			-			5,000	5,000	-
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	16,612,180	16,612,180	-	22,117,445	22,117,445	-	22,189,482	22,189,482	-
	ხარჯები	6,387,873	6,387,873	-	8,174,315	8,174,315	-	10,518,587	10,518,587	-
	საქონელი და მომსახურება	1,017,052	1,017,052	-	1,351,353	1,351,353	-	1,671,101	1,671,101	-
	სუბსიდიები	1,935,445	1,935,445	-	2,916,039	2,916,039	-	4,118,003	4,118,003	-
	სხვა ხარჯები	3,435,375	3,435,375	-	3,906,924	3,906,924	-	4,729,483	4,729,483	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,224,308	10,224,308	-	13,943,130	13,943,130	-	11,670,895	11,670,895	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,726,862	7,726,862	-	8,334,657	8,334,657	-	9,863,346	9,863,346	-
	ხარჯები	2,917,561	2,917,561	-	4,080,850	4,080,850	-	6,197,861	6,197,861	-
	საქონელი და მომსახურება	1,012,107	1,012,107	-	1,328,769	1,328,769	-	1,490,201	1,490,201	-
	სუბსიდიები	339,872	339,872	-	425,439	425,439	-	841,156	841,156	-
	სხვა ხარჯები	1,565,581	1,565,581	-	2,326,642	2,326,642	-	3,866,504	3,866,504	-

	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,809,302	4,809,302	-	4,253,807	4,253,807	-	3,665,485	3,665,485	-
02 01 01	ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	4,316,971	4,316,971	-	3,213,787	3,213,787	-	3,567,176	3,567,176	-
	ხარჯები	130,157	130,157	-	77,874	77,874	-	176,311	176,311	-
	საქონელი და მომსახურება	130,157	130,157	-	77,874	77,874	-	176,311	176,311	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,186,814	4,186,814	-	3,135,913	3,135,913	-	3,390,865	3,390,865	-
02 01 01 01	ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო ,,კოლხეთი"-ს მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	-	68,357	68,357	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			68,357	68,357		-	-	-
02 01 01 02	დაბა ჩაქვში ,,ოაზისის" მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	182,103	182,103	-	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	182,103	182,103		-			-	-	-
02 01 01 03	გზის ორმული შეკეთება	-	-	-	-	-	-	46,460	46,460	-
	ხარჯები	-	-	-	-	-	-	46,460	46,460	-
	საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	-	46,460	46,460	-
02 01 01 04	ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის გამზირი №167-დან თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	-	-	-	-	165,932	165,932	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			-			165,932	165,932	-
02 01 01 05	ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის გამზირიდან (გოგოლის ქუჩა) თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	-	-	-	-	96,853	96,853	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			-			96,853	96,853	-
02 01 01 06	ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის გამზირიდან (ყოფილი მე-7 სკოლიდან) თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	-	-	-	-	161,743	161,743	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			-			161,743	161,743	-
02 01 01 07	ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის გამზირიდან (კაფე ,,დავითი") თამარ მეფის სანაპიროზე გადასასვლელის კეთილმოწყობა	-	-	-	-	-	-	67,523	67,523	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			-			67,523	67,523	-
02 01 01 08	საგზაო მონიშვნები	-	-	-	-	-	-	40,180	40,180	-
	ხარჯები	-	-	-	-	-	-	40,180	40,180	-
	საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-	-	40,180	40,180	-
02 01 01 09	ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობა	-	-	-	238,343	238,343	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-			238,343	238,343		-	-	-

02 01 01 10	ქალაქ ქობულეთში კაფე ედემთან (რუსთაველიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან ზღვაზე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები	539,226	539,226	-	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	539,226	539,226		-			-	-	-
02 01 01 11	დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობა	675,363	675,363	-	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	675,363	675,363		-			-	-	-
02 01 01 12	ვიდეო კამერების შეძენა-მონტაჟი	33,924	33,924	-	-	-	-	712,072	712,072	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	33,924	33,924		-			712,072	712,072	-
02 01 01 13	ვიდეოკამერების ექსპლოატაცია	64,322	64,322	-	77,874	77,874	-	79,800	79,800	-
	ხარჯები	64,322	64,322	-	77,874	77,874	-	79,800	79,800	-
	საქონელი და მომსახურება	64,322	64,322	-	77,874	77,874	-	79,800	79,800	-
02 01 01 14	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა	2,380,194	2,380,194	-	2,146,383	2,146,383	-	2,161,442	2,161,442	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,380,194	2,380,194		2,146,383	2,146,383		2,161,442	2,161,442	-
02 01 01 15	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა	17,800	17,800	-	-	-	-	9,871	9,871	-
